**346/21**
**16.05.17**

**სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის ბიუჯეტის მუხლების ფაქტიური შესრულების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიის წლიური ფაქტიური შემოსავალი იყო 8,637,651.77 ლარი (3,000,000 ლარი სარეზერვო ფონდის თანხის გარეშე).

2016 წლის რეგულირების საფასურის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 8,578,407.71 (96.6 % ფაქტიური შესრულება) ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8,880,000 ლარისა, რაც 301,592.29 ლარით (3.4%) ნაკლებია ბიუჯეტით გათვალისწინებულ წლიურ დაგეგმილ შემოსავალთან შედარებით.

2016 წელს კომისიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების გაყიდვიდან შემოსავალმა შეადგინა 57,575 ლარი, თანხა დაემატება 2016 წლის ბიუჯეტს „სხვა შემოსავლები"-ს სახით.

აგრეთვე, სხვა შემოსავლებს დაემატა მე-4 კვარტალში COE DPFL - BUDGET ORDINAIRE AVENUE DE L EUROPE-ის მიერ ჩარიცხული 1669,06 ლარი (612,5 ევრო), რომელიც წარმოადგენს სამივლინებო ხარჯების მიზნობრივ დაფინანსებას.

2016 წელს ფაქტიურად მიღებულია რეგულირების საფასურის 98,73% (დარიცხული 8,688,387 ლარი, ხოლო ფაქტიური 8,578,407.71 ლარი).

ამასთან, 2016 წლის 12 თვის რეგულირების ფაქტიური შემოსავალი (8,578,407.71 ლარი) 87,623.5 ლარით აღემატება 2015 წლის ანალოგიური პერიოდის რეგულირების ფაქტიურ შემოსავალს (8,490,784.21 ლარი).

2016 წლის დარიცხული რეგულირების საფასურის შემოსავალი (8,688,387 ლარი) 34,217.40 ლარით მეტია 2015 წლის დარიცხულ რეგულირების საფასურის შემოსავალთან (8,654,169.64 ლარი) შედარებით.

მიუხედავად ხარჯვითი ნაწილის უმრავლეს პუნქტში მიღებული ეკონომიისა, ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვითი ნაწილის ცალკეულ მუხლებში აღინიშნება გადახარჯვები. კომისიის ბიუჯეტის ცალკეულ მუხლებში მიღებული ეკონომია, აუცილებლობიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნა სხვა მუხლების დასაფინანსებლად.

1) **ძირითადი საშუალებები -- ჯამური ეკონომია 378,692.96 ლარი, შესრულება 86,24%-თ**

კომისიამ შეიძინა 2,374,306.04 ლარის ძირითადი საშუალებები:

| ბიუჯეტის მუხლის # | ძირითადი საშუალებები | საორიენტაციო გეგმა 12 თვის მონაცემებით | ფაქტიური ხარჯი 12 თვის მონაცემებით | ბიუჯეტის ნაშთი ლარში ეკონომია +, გადახარჯვა - |
|---|---|---|---|---|
| **1.1** | სარეკლამო და სასპონსორო ჭრების მონიტორინგის პროგრამა „**არიანა**" | 57,000.00 | 23,750.00 | 33,250.00 |
| **1.2** | მედიამონიტორინგის 40 გარე ვინჩესტერი | 8,800.00 | 6,400.00 | 2,400.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **რადიო მონიტორინგის აპარატურის/ პროგრამული უზრუნველყოფის/ მომსახურების შეძენის საორიენტაციო ხარჯები** | | | |
| 1.3 | FAMS-სისტემაში გამოყენებული მოდულების ლიცენზირებული ვერსია $2500 | 6,075.00 | 0.00 | 6,075.00 |
| 1.4 | მობილური კავშირგაბმულობის სისტემების მონიტორინგის შედეგების დამუშავებისა და ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის განახლება და მხარდაჭერა $2750 RODE SHVARTS | 7,150.00 | 11,551.06 | -4,401.06 |
| 1.5 | მიმღებ-გადამცემი სარელეო მოწყობილობები - 2 წყვილი $10000 | 26,000.00 | 0.00 | 26,000.00 |
| 1.6 | ლეპტოპი - 2 ერთეული $3500 | 8,505.00 | 0.00 | 8,505.00 |
| 1.7 | უწყვეტი კვების წყარო - 4 ცალი $2470 | 6,002.00 | 0.00 | 6,002.00 |
| 1.8 | CISCO როუტერი - 4 ერთეული | 2,000.00 | 0.00 | 2,000.00 |
| 1.9 | სვიჩი (მართვადი) - 1 ერთეული - $ 1500 | 3,645.00 | 0.00 | 3,645.00 |
| 1.10 | პერსონალური კომპიუტერი - 2 ერთეული - $2670 | 6,488.00 | 0.00 | 6,488.00 |
| 1.11 | მონიტორი - 3 ცალი - $2700 | 6,561.00 | 1,777.68 | 4,783.32 |
| 1.12 | დამიწების კონტურის განახლება სტაციონარულ სადგურებზე | 4,000.00 | 250.00 | 3,750.00 |
| 1.13 | IP კამერა - 3 ერთეული -$ 825 | 2,005.00 | 0.00 | 2,005.00 |
| 1.14 | მყარი დისკები - 2 ტბ, 4 ერთეული - $1200 | 2,916.00 | 0.00 | 2,916.00 |
| 1.15 | ფერადი ლაზერული პრინტერის კარტრიჯები - $577 | 1,402.00 | 0.00 | 1,402.00 |
| 1.16 | ROMES მოდულები (Voice QoS, BS Evaluation) - $ 22308 | 58,001.00 | 0.00 | 58,001.00 |
| 1.17 | DC/AC გარდამქმნელი - 2 ერთეული - $3000 | 7,290.00 | 240.00 | 7,050.00 |
| 1.18 | სააკუმულატორო ბატარეები | 3,500.00 | 0.00 | 3,500.00 |
| 1.19 | სკანერი ა3 - $ 800 | 1,944.00 | 0.00 | 1,944.00 |
| 1.20 | ქსეროქსი ა3 - $ 4500 | 10,935.00 | 0.00 | 10,935.00 |
| 1.21 | ანტენების კომპლექტი (მონიტორინგის) - 3 კომპლექტი - $ 16000 | 41,600.00 | 0.00 | 41,600.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.22 | პორტატული სპექტრის ანალიზატორი - $ 22000 | 57,200.00 | 0.00 | 57,200.00 |
| 1.23 | მაღალი გამავლობის ავტომობილი | 50,000.00 | 47,917.00 | 2,083.00 |
| | სახელმწიფო **შესყიდვების შესახებ № 07.10-15-1 ხელშეკრულებით განსაზღვრული გადასახადები** | | | |
| 1.24 | პირველი **ეტაპის დარჩენილი თანხა -** $397655 tci | 966,302.00 | 705,825.96 | 260,476.04 |
| 1.25 | მეორე ეტაპი - $335606 -- tci | 815,523.00 | 907,346.43 | -91,823.43 |
| | მესამე ეტაპი - $85323.6 -- tci -30% | | 209,905.44 | -209,905.44 |
| 1.26 | პროგრამული უზრუნველყოფის ინტეგრაცია - $ 20000 | 48,600.00 | 0.00 | 48,600.00 |
| 1.27 | სავარძელი - 3 ცალი | 1,600.00 | 0.00 | 1,600.00 |
| 1.28 | პერსონალური კომპიუტერი - 3 ცალი | 6,000.00 | 0.00 | 6,000.00 |
| 1.29 | სხვადასხვა სახის ავეჯის შეძენა (ავეჯი, სავარძლები და სხვა) | 30,000.00 | 4,180.80 | 25,819.20 |
| | **აი ტი განყოფილება** | | | |
| 1.30 | UTP კაბელი (CAT5) -2 ცალი | 600.00 | 144.40 | 455.60 |
| 1.31 | Keyboard - 40 ცალი | 1,000.00 | 0.00 | 1,000.00 |
| 1.32 | Laptop -1 ცალი | 3,000.00 | 0.00 | 3,000.00 |
| 1.33 | Mouse -20 ცალი | 300.00 | 0.00 | 300.00 |
| 1.34 | Headphone -10 ცალი | 130.00 | 80.00 | 50.00 |
| 1.35 | DVD - 300 ცალი | 450.00 | 0.00 | 450.00 |
| 1.36 | CD - 300 ცალი | 300.00 | 0.00 | 300.00 |
| 1.37 | UPS - 30 ცალი | 6,600.00 | 4,600.00 | 2,000.00 |
| 1.38 | HUB&PORT - 8 ცალი | 320.00 | 0.00 | 320.00 |
| 1.39 | Patch Cort (Cat5) | 800.00 | 0.00 | 800.00 |
| 1.40 | FTP Connector - 200 ცალი | 100.00 | 0.00 | 100.00 |
| 1.41 | Projector - 1 ცალი | 2,200.00 | 1,390.00 | 810.00 |
| 1.42 | კომპიუტერი - 10 ცალი | 9,000.00 | 9,166.50 | -166.50 |
| 1.43 | ანტრესოლი,კიბე და კარადა | 1,600.00 | 1,340.00 | 260.00 |
| 1.44 | 1.Network Infrastructure - $70000 | 168,000.00 | 130,400.00 | 37,600.00 |
| 1.45 | 2.HP Proliant ML 370 G6 : Dual Part 15K, SAS 146 GB -4 ცალი - $1400 | 3,360.00 | 0.00 | 3,360.00 |
| 1.46 | 3.HP Proliant ML 370 G6 : Dual Part 10K, SAS 300 GB -4 ცალი -$ 1600 | 3,840.00 | 0.00 | 3,840.00 |
| 1.47 | 4.IBM EXPM 2512 : SAS FRU 49Y1938 2TB -4 ცალი -$ 2000 | 4,800.00 | 0.00 | 4,800.00 |
| 1.48 | 5.Vmware : 600 GB, 6G SAS 15K 3.5 -3 ცალი -$ 2250 | 5,400.00 | 0.00 | 5,400.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.49 | 6.Voip ტელეფონი 120 მომხმარებელზე 1 ცალი -$ 9000 | 21,600.00 | 0.00 | 21,600.00 |
| 1.50 | Mail Server-ის ინსტალაცია, კონფიგურირება და კოლოკაცია | 9,000.00 | 0.00 | 9,000.00 |
| 1.51 | კომპიუტერის კომპლექტი, პროცესორი, მონიტორი 19, კლავიატურა | 1,600.00 | 0.00 | 1,600.00 |
| 1.52 | საოფისე სავარძელი - 2 ცალი | 500.00 | 0.00 | 500.00 |
| 1.53 | მიკროფონი კომისიის სხდომათა დარბაზისთვის - 2 ცალი | 300.00 | 0.00 | 300.00 |
| 1.54 | ყურსასმენები-2 ცალი | 30.00 | 0.00 | 30.00 |
| 1.55 | ჩაის მაგიდა კომისიის სხდომათა დარბაზისთვის - 1 ცალი | 300.00 | 0.00 | 300.00 |
| 1.56 | ტანსაცმლის საკიდი კომისიის სხდომათა დარბაზისთვის - 1 ცალი | 180.00 | 0.00 | 180.00 |
| 1.57 | მულტიფუნქციური პრინტერი კომისიის სხდომათა დარბაზისთვის | 800.00 | 0.00 | 800.00 |
| 1.58 | რკინის კარადა | 1,000.00 | 0.00 | 1,000.00 |
| 1.59 | სავარძელი | 250.00 | 220.00 | 30.00 |
| | **შავნაბადას ქედზე რადიოსიხშირული სპექტრის სტაციონარული სადგურის სამშენებლო პროექტებისა და შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება 2016 წლისთვის -- კურსი 2.4** | | | |
| 1.60 | შავნაბადას კოშკურა ანძის პროექტი | 24,000.00 | 16,696.43 | 7,303.58 |
| 1.61 | შავნაბადას კოშკურა ანძის პროექტის სამხარაულის ბიუროში ექსპერტიზაზე წარდგენა | 500.00 | 0.00 | 500.00 |
| 1.62 | შავნაბადას კოშკურა ანძის ხარჯთაღრიცხვის სამხარაულის ბიუროში ექსპერტ. წარდგენა | 2,400.00 | 1,800.00 | 600.00 |
| 1.63 | შავნაბადას ობიექტის მშენებლობის მოსაკრებელი | 2,970.00 | 1,584.99 | 1,385.01 |
| 1.64 | გალვანიზირებული კოშკურა ანძის მშენებლობა "outdoor cabinet"-ის გარეშე* | 170,000.00 | 131,532.97 | 38,467.03 |
| 1.65 | შავნაბადას სტაბილიზატორი -- 1 ცალი | 500.00 | 0.00 | 500.00 |
| 1.66 | შავნაბადას სააკუმულატორო მუდმივი კვება -- 2 ცალი | 5,000.00 | 0.00 | 5,000.00 |
| 1.67 | შავნაბადას ელექტრო გამათბობელი -- 3 ცალი | 450.00 | 0.00 | 450.00 |
| 1.68 | შავნაბადას კონდინციონერი -- 2 ცალი | 3,000.00 | 0.00 | 3,000.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.69 | შავნაბადას ელექტრომომარაგების ხაზის სამშენებლო სამუშაოების დარჩენილი 50% | 28,775.00 | 28,774.44 | 0.56 |
| 1.69/1 | შავნაბადას ელექტროტრანსფორმატორის დაყენება და შემოკავება | | 9,625.31 | -9,625.31 |
| 1.69/2 | შავნაბადას ანძაზე ელექტროკაბელებისა და აერონავიგაციის მაშუქების მონტაჟი | | 9,926.10 | -9,926.10 |
| 1.69/3 | შავნაბადას ელექტრო საქონელი | | 774.60 | -774.60 |
| 1.70 | სამართლებრივი დეპარტამენტი | 5,000.00 | 0.00 | 5,000.00 |
| **1.71** | გაუთვალისწინებელი ძირ საშუალებები | 16,000.00 | 6,360.83 | 9,639.17 |
| **1.72** | ტოიოტა კოროლა 2 ცალი | | 67,075.10 | -67,075.10 |
| **1.73** | ნოუთბუქი 16 ცალი (მედიამონიტორინგისათვის) | | 18,080.00 | -18,080.00 |
| **1.74** | სერვერი (მედიამონიტორინგისათვის) | | 15,350.00 | -15,350.00 |
| **1.75** | წამზომი 20 ერთეული (მედიამონიტორინგისათვის) | | 240.00 | -240.00 |
| | | | | |
| | სულ | **2,752,999.00** | **2,374,306.04** | **378,692.96** |

2016 წლის პირველ ნახევარში შეძენილია 2 ცალი ავტომანქანა ტოიოტა კოროლა თანხით 67,075.1 ლარი, რომელიც ბიუჯეტით არ იყო გათვალისწინებული. ხარჯი დაიფარა ავტომანქანების რეალიზაციიდან მიღებული 57,575 ლარიდან და კომისიის ბიუჯეტის ძირითადი საშუალებების სხვა მუხლებით მიღებული ეკონომიით.

2016 წელს განხორციელდა შავნაბადას კოშკურა ანძის მშენებლობა ფაქტიური დანახარჯით 200,714.84 ლარი, ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 237,595 ლარი, ჯამური ეკონომიაა 36,880.17 ლარი.

ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო TCI INTERNATIONAL-თან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად რადიოსიხშირული აპარატურისა და პროგრამირების მოწოდებისათვის (პირველი ეტაპის ნაწილის და მეორე ეტაპის სრული) ანგარიშსწორების თანხა სულ 1,781,825 ლარი. გადასახდელი გახდა, ასევე, მე-3 ეტაპის თანხის 30% - 209,905.44 (85,323.6 აშშ დოლარი) ლარი, ამასთან, პირველი ეტაპის თანხა ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო ზედმეტად (პირველი ეტაპის გადასახდელი თანხა მოცემული იყო ძირითადი საშუალებების დღგს ჩათვლით, რადგან ამ ეტაპის მიღება ნავარაუდევი იყო 2016 წელს და რეალურად მიღება განხორციელდა 2015 წლის დეკემბერში). სულ გადახდილი იქნა 1,823,077.83 ლარი. ჯამური გადახარჯვა 41,252.83 ლარი დაიფარა ბიუჯეტის ძირითადი საშუალებების სხვა მუხლების ეკონომიის ხარჯზე.

2016 წლის წინასაარჩევნო მინიტორინგისათვის შესყიდული იქნა 16 ცალი ნოუთბუქი, 1 ცალი სერვერი და 20 ცალი წამზომი, სულ ჯამური თანხით 33,670 ლარი, რომელიც ასევე დაიფარა ბიუჯეტის ძირითადი საშუალებების სხვა მუხლების ჯამური ეკონომიის ხარჯზე.

**2) საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები -- ეკონომია 4,604.29 ლარი**

ამ მუხლში ჯამურმა ეკონომიამ შეადგინა 4,604.29 ლარი. მნიშვნელოვანი გადახარჯვაა საფოსტო ხარჯში 3,468.53 ლარი, რომელიც დაიფარა სხვა მუხლების ეკონომიის ხარჯზე.

| ბიუჯეტის | საკანცელარიო, | საორიენტაციო | ფაქტიური | ბიუჯეტის |
|---|---|---|---|---|

| მუხლის # | საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები | გეგმა 12 თვის მონაცემებით | ხარჯი 12 თვის მონაცემებით | ნაშთი ლარში ეკონომია +, გადახარჯვა - |
|---|---|---|---|---|
| **2.1** | საკანცელარიო საქონელის ღირებულება | 15,500.00 | 14,592.72 | 907.28 |
| **2.2** | ჟურნალ-გაზეთების ღირებულება | 5,000.00 | 4,699.46 | 300.54 |
| **2.3** | საფოსტო ხარჯების ღირებულება | 20,000.00 | 23,468.53 | -3,468.53 |
| **2.4** | სხვადასხვა სახის ბლანკების ღირებულება | 6,020.00 | 55.00 | 5,965.00 |
| **2.5** | ინგლისურენოვანი ჟურნალების ელექტრონული ფორმით გამოწერა IEEE Products and Services-დან -- 300 $ | 729.00 | 1,029.00 | -300.00 |
| **2.6** | რუსული ჟურნალების გამოწერა -- 500 $ | 1,200.00 | 0.00 | 1,200.00 |
| | | | | |
| | სულ | **48,449.00** | **43,844.71** | **4,604.29** |

**3)** **კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის ხარჯები -- ეკონომია 31,433.85 ლარი**

31,433.85 ლარის ჯამური ეკონომია ძირითადად გამოწვეულია სატელეფონო და მობილური კავშირგაბმულობის მომსახურეობის ხარჯის შემცირებით.

| ბიუჯეტის მუხლის # | კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის ხარჯები | საორიენტაციო გეგმა 12 თვის მონაცემებით | ფაქტიური ხარჯი 12 თვის მონაცემებით | ბიუჯეტის ნაშთი ლარში ეკონომია +, გადახარჯვა - |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **3.1** | სატელეფონო მომსახურება და საკაბელო ოპერატორების ხარჯი | 35,000.00 | 15,313.35 | 19,686.65 |
| **3.2** | ინტერნეტ მომსახურება | 28,000.00 | 27,360.00 | 640.00 |
| **3.3** | მობილურების მომსახურება | 30,000.00 | 9,512.94 | 20,487.06 |
| **3.4** | ტექნიკური წყალი | 4,000.00 | 6,468.38 | -2,468.38 |
| **3.5** | სასმელი წყლის ხარჯი | 4,700.00 | 6,486.18 | -1,786.18 |
| **3.6** | ელექტროენერგიის ხარჯი | 53,000.00 | 57,928.85 | -4,928.85 |
| **3.7** | ბუნებრივი აირის ხარჯი | 20,000.00 | 18,614.25 | 1,385.75 |
| **3.8** | დასუფთავების ხარჯი | | 1,582.20 | -1,582.20 |
| | | | | |
| | სულ | **174,700.00** | **143,266.15** | **31,433.85** |

**4)** ავტომანქანის საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები **--** ეკონომია **51,709.1** ლარი

ბიუჯეტის ამ მუხლში მნიშვნელოვანი ეკონომიაა ბენზინის საწვავის ხარჯში 46,305.99 ლარი. მთლიანობაში ეკონომია შეადგენს 51,709.1 ლარს.

| ბიუჯეტის მუხლის # | ავტომანქანის საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები | საორიენტაციო გეგმა 12 თვის მონაცემებით | ფაქტიური ხარჯი 12 თვის მონაცემებით | ბიუჯეტის ნაშთი ლარში ეკონომია +, გადახარჯვა - |
|---|---|---|---|---|
| **4.1** | ბენზინის საწვავის ხარჯი | 80,000.00 | 33,694.01 | 46,305.99 |
| **4.2** | დიზელის (გაზოილის) საწვავის ხარჯი | 22,000.00 | 17,164.33 | 4,835.67 |
| **4.3** | ავტო მანქანების რემონტის და საგარანტიო მომსახურეობის ხარჯი | 45,000.00 | 44,195.20 | 804.80 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **4.4** | ა/მანქანების დაზღვევის ხარჯი | 12,000.00 | 13,588.36 | -1,588.36 |
| **4.5** | ა/მანქანების რეცხვის ხარჯი | 7,000.00 | 5,649.00 | 1,351.00 |
| | | | | |
| | სულ | **166,000.00** | **114,290.90** | **51,709.10** |

**5) მივლინების ხარჯები -- ეკონომია 7,885.32 ლარი**

2016 წლის მივლინების ხარჯებმა, ნაცვლად კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებული 230,000 ლარისა, შეადგინა – 222,114.68 ლარი. აღნიშნული თანხა 7,885.32 ლარით ანუ 3.43%-ით ნაკლებია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე. აღნიშნული დანახარჯი გამოწვეულია აუცილებელი და მიზნობრივი მივლინებების ფაქტიური დაფინანსებებით, რომელთაგან ძირითადად აღსანიშნავია: ქ. მიუნხენში გერმანიის ელექტროენერგიის, გაზის, ტელეკომუნიკაციების, ფოსტისა და რკინიგზის რეგულირების სექტორში ფედერალური სააგენტოს სპეციალისტებთან შეხვედრა, “CEPT”-ის ელექტრონული კომუნიკაციების კომიტეტის (ECC) რადიოსიხშირული სპექტრის მართვის შემსწავლელი ჯგუფის (WG FM) მორიგ 84–ე სხდომაზე დასწრება, ევროკომისიის საზღვართშორისი ინტერნეტ მიმოქცევის ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობის მიღება, EMERG-ის პლენარულ სესიაზე დასწრება, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) მიერ ორგანიზებულ მსოფლიო რადიოსაკომუნიკაციო კონფერენციის (WRS-15) მოსამზადებელ შეხვედრაში მონაწილეობის მიღება და სხვა. ამ ხარჯებში შედის, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული მივლინებების დაფინანსება, რომლებიც ძირითადად ემსახურებოდა ლიცენზირებული და ავტორიზებული პირების სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგს და რადიოელექტრონული მოწყობილობების პელინგაციასა და ტექნიკური მახასიათებლების ადგილზე შემოწმებას.

**6) საბანკო მომსახურეობის ხარჯები -- ეკონომია 4,794.04 ლარი**

12 თვის საბანკო მომსახურეობის ხარჯმა შეადგინა 3,705.96 ლარი, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 8,500 ლარისა. აღნიშნულ პუნქტში ეკონომია არის 4,794.04 ლარი.

**7) კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა ხარჯები -- ეკონომია 22,895.84 ლარი**

კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა ხარჯების მუხლით, 2016 წლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯებმა სულ შეადგინა – 14,804.16 ლარი, ნაცვლად შესაბამისი პერიოდის განმავლობაში გასაწევი - 37,700 ლარისა. ეს ხარჯი ძირითადად შედგება კომისიის აპარატის თანამშრომლების კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯისგან - 4,704.80 ლარი, წინასაარჩევნო მონიტორინგის პრეზენტაციის 3,123.3 ლარისგან და სხვა ხარჯებისგან.

**8) სხვადასხვა საწევრო გადასახადები -- ეკონომია 72.67 ლარი**

ამ მუხლით გახარჯულია 34,247.33 ლარი, საიდანაც ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტში (ETSI) გადარიცხულია 16,060.03 (5,760.00 ევროს ექვივალენტი) ლარი, მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის ორგანიზაციაში (EPRA) – 6,229.44 (2,400.00 ევროს ექვივალენტი) ლარი, ხოლო EUROPEAN AUDIOVISUAL OBSERVATORY-ს 2016

წლის გადასახადისათვის - 7,714.54 ლარი, დანარჩენი თანხა გადახდილია სახელმწიფო ბიუჯეტში (არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადი და უკუდაბეგვრის დღგ) სავალდებულო გადასახადების სახით.

**9) საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები -- ეკონომია 683,370.65 ლარი**

წინამდებარე პუნქტით დახარჯულია სულ 575,249.35 ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 1,258.620 ლარი. ეკონომია 683,370.65 ლარი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ბიუჯეტის 9.2, 9.3, 9.6, 9.7 და 9.9 პუნქტების (სატელეკომუნიკაციო ბაზრის კვლევები, საერთაშორისო კვლევების შეძენა, GSMA ბაზაზე წვდომა) სხვადასხვა გარემოებათა გამო არ განხორციელდა. ხარჯვი გაწეულია: მობილურ და ფიქსირებულ ქსელებში ზარის ტერმინაციის საფასურის LRIC მეთოდით დადგენისათვის - 394,002 ლარის ოდენობით, არქივის სამუშაოებისათვის - 9,022.35 ლარის ოდენობით, კომისიის სტრუქტურული რეორგანიზაციისა და ატესტაციისთვის -- 108,600 ლარის ოდენობით, რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების დასადგენად კვლევის ჩატარებისთვის -- 47,000 ლარის ოდენობით და სხვა.

**10) სხვა საერთო ხარჯები -- გადახარჯვა 3,282.52 ლარი**

სხვა საერთო ხარჯების მუხლით 12 თვეში განსაზღვრული იყო 281,196 ლარი, ხოლო გახარჯულია 284,478.52 ლარი, აქედან გამომდინარე გადახარჯვა არის 3,282.52 ლარი. აღნიშნული გადახარჯვა გამოწვეულია: თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევის ხარჯებით, რადგან 2015 წლის პერიოდის ინვოისი 16,840.26 ლარის ოდენობით სადაზღვევო კომპანიის მიერ დაგვიანებით იქნა წარმოდგენილი; კარტრიჯების დატენვის, კომპიუტერების მაკომპლექტებელი ნაწილების შეძენამ და სხვამ შეადგინა 15,252.7ლარი, ნაცვლად 5,000 ლარისა; ასევე გადახარჯვაა გაუთვალისწინებელ ხარჯებში (ლიფტის ყოველთვიური მომსახურეობა, კოდექსის განახლება, საკონონმდებლო მაცნე, თარგმნის მომსახურეობა და სხვა) – 19,707.26 ლარი. ხოლო მნიშვნელოვანი ეკონომიაა საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯებში (პუნქტები 10.10; 10.11; 10.12; 10.13; და 10.14), სულ თანხით 34,440 ლარი. ასევე, ეკონომიაა ვებ-გვერდის ჰოსტინგის პუნქტში 13,139.68 ლარი.

| ბიუჯეტის მუხლის # | სხვა საერთო ხარჯები | საორიენტაციო გეგმა 12 თვის მონაცემებით | ფაქტიური ხარჯი 12 თვის მონაცემებით | ბიუჯეტის ნაშთი ლარში ეკონომია +, გადახარჯვა - |
|---|---|---|---|---|
| **10.1** | საყოფაცხოვრებო საქონელი (დამლაგებლები და ჰიგიენის წერტილები)სხვა საერთო ხარჯები | 10,000.00 | 5,007.30 | 4,992.70 |
| **10.2** | დაცვის სამსახური | 70,000.00 | 71,500.00 | -1,500.00 |
| **10.3** | დასაქმებულთა დაზღვევა | 65,000.00 | 89,228.94 | -24,228.94 |
| **10.4** | საინფორმაციო „ახალი ამბები“ | 8,430.00 | 8,358.00 | 72.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **10.5** | კარტრიჯების დამუხტვა და კომპიუტერული მომსახურეობა | 5,000.00 | 15,252.70 | -10,252.70 |
| **10.6** | ვებ გვერდის ჰოსტინგი | 15,000.00 | 1,860.32 | 13,139.68 |
| **10.7** | მაუწყებლობის არქივი | 41,400.00 | 37,948.96 | 3,451.04 |
| **10.8** | სამეურნეო–სარემონტო საქონელი | 11,926.00 | 15,615.04 | -3,689.04 |
| **10.9** | გაუთვალისწინებელი ხარჯები | 20,000.00 | 39,707.26 | -19,707.26 |
| **10.10** | მედია მონიტორინგის პროგრამის შესყიდვა | 6,000.00 | 0.00 | 6,000.00 |
| **10.11** | პრეს–ტურის ორგანიზება | 10,000.00 | 0.00 | 10,000.00 |
| **10.12** | სარეკლამო რგოლების დამზადება | 5,000.00 | 0.00 | 5,000.00 |
| **10.13** | რეკლამა Facebook.com-ზე | 1,440.00 | 0.00 | 1,440.00 |
| **10.14** | ორ საინფორმაციო სააგენტოსთან ხელშეკრულება | 12,000.00 | 0.00 | 12,000.00 |
| | | | | |
| | სულ | 281,196.00 | 284,478.52 | -3,282.52 |

**11) წარმომადგენლობითი ხარჯები -- გადახარჯვა 1,324.98 ლარი**

წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით განსაზღვრულმა ხარჯებმა 2016 წლის 12 თვის ფაქტიური მონაცემების მიხედვით, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 30,000 ლარისა, საბიუჯეტო ანარიცხის ჩათვლით, შეადგინა 31,324.98 ლარი, რაც 1,324.98 ლარით მეტია კომისიის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე.

**12) მიმდინარე რემონტის ხარჯები -- ეკონომია 69,889.83 ლარი**

მიმდინარე რემონტის მუხლით 2016 წლის 12 თვეში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა – 10,110.4 ლარი, რაც 69,889.83 ლარით ნაკლებია კომისიის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე. აღნიშნულ თანხაში შედის ძეგვის მთის სტაციონარული სადგურის, კონდენციონერების, ტრანსფორმატორის და ადმინისტრაციული შენობის რემონტის ხარჯები, ასევე სხვა ხარჯები.

**13) შრომის ანაზღაურება -- ეკონომია 244,735.39 ლარი**

შრომის ანაზღაურების მუხლით წლიური ხარჯი საბიუჯეტო ანარიცხების გარეშე დაგეგმილი იყო 4,344.000 ლარი. ფაქტიურად შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა – 4,099,264.61 ლარი, ანუ - 244,735.39 ლარით ნაკლები. აღნიშნული ეკონომია, სახემწიფო ბიუჯეტის ანარიცხების თანხის -- 61,183.85 ლარის ეკონომიასთან ერთად, ჯამური თანხით 305,919.24 ლარი მიმართული იქნა თანამშრომელთა (საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ჩათვლით) მე-4 კვარტალში გაცემული პრემიის ასანაზღაურებლად.

**14) სახელმწიფო ბიუჯეტის ანარიცხები - ეკონომია 61,183.85 ლარი**

**15) მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები -- ეკონომია 32,257 ლარი**

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯებმა, ნაცვლად კომისიის ბიუჯეტით შესაბამისი პერიოდისათვის დადგენილი - 35,000 ლარისა, შეადგინა – 2,743 ლარი, რაც - 32,257 ლარით ნაკლებია ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე.

**16) მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამხველის სამსახურის შრომის ანაზღაურების და სახ. ბიუჯეტის ხარჯები -- გადახარჯვა 47,015.16 ლარი**

ამ პუნქტის ხარჯებმა, ნაცვლად დაგეგმილი ხარჯის 303,300 ლარისა, ფაქტიურად შეადგინა – 350,315.16 ლარი, რაც 47,015.16 ლარით მეტია ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე, მათ შორის პრემირების ფონდის ხარჯმა შეადგინა - 73,488.25 ლარი.

**17) პრემირების ფონდი -- გადახარჯვა 290,459 ლარი.**

რაც შეეხება პრემირების ფონდიდან გაწეულ ხარჯებს: I კვარტალში გაცემული იქნა 385,770.4 ლარი, მათ შორის პერსონალური პრემია -- 93,351 ლარი, II კვარტალში -- 279,598.9 ლარი, III კვარტალში 316,790.15 ლარი, მათ შორის პერსონალური პრემია --39,279.85 ლარი, ხოლო IV კვარტალში 317,515.55 ლარი, მათ შორის პერსონალური პრემია -- 39,382.5 ლარი. სულ გაცებული პრემიების ჯამმა შეადგინა 1,299,675 ლარი. აღნიშნული თანხა 290,459 ლარით მეტია წლიურ გეგმასთან შედარებით და სხვაობის დაფარვა მოხდა შრომის ანაანაზღაურებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ანარიცხების ბიუჯეტის მუხლების ჯამური ეკონომიის ხარჯზე.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 10,628.556.87 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსავალმა 8,637,651.77 ლარი. შესაბამისად. კომისიის 2016 წლის ფაქტიური ხარჯი 1,990,905.1 ლარით აჭარბებს ფაქტიურ შემოსავალს (იხილეთ თანდართული ცხრილი 1), რომელიც დაფარული იქნა 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებლი სარეზერვო ფონდიდან. ამასთან სარეზერვო ფონდში 2016 წელს აუთვისებელი თანხა 850,000 ლარი დაემატა კომისიის 2017 წლის ბიუჯეტს აუცილებელი ხარჯების დასაფარავად.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნას მიღებული კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ნ. დევდარიანის ინფორმაცია კომისიის 2016 წლის ბიუჯეტის მუხლების ფაქტიური შესრულების შესახებ;

2. დამტკიცდეს წარმოდგენილი 2016 წლის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები:

ა) ფაქტიური შემოსავლები:
რეგულირების საფასური და სხვა შემოსავლები --8,637,651.77 ლარი;
ბ) საოპერაციო ფაქტიური ხარჯები --- 8,254,250.83 ლარი;
გ) ძირითადი საშუალებების შეძენის ფაქტიური ხარჯები -- 2,374,306.04 ლარი;

3. დამტკიცდეს 2016 წლის ფაქტიური მონაცემების მიხედვით, კომისიის შემოსავლების ხარჯებზე გადამეტება -1,990,905.1 ლარი;
4. დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს, აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტს და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, დააწესონ სისტემატიური კონტროლი ლიცენზიის მფლობელთა და ავტორიზებულ პირთა მხრიდან სალიცენზიო პირობების დაცვის უზრუნველყოფისათვის;
5. კომისიის აპარატის შესაბამისმა დეპარტამენტებმა/სამსახურებმა ხელი შეუწყონ „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულებას;
6. დაევალოს აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს ლიცენზიის მფლობელთა ან/და ავტორიზებულ პირთა მიერ რეგულირების საფასურის გადაუხდელობის ან/და კომისიაში შესაბამისი ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესაბამისი სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება;
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, #6) ერთი თვის ვადაში;
8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი).

| | |
|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე | ვ. აბაშიძე |
| კომისიის წევრი | ე. ასანიძე |
| კომისიის წევრი | კ. ბექაური |
| კომისიის წევრი | გ. ფრუიძე |
| კომისიის წევრი | მ. ქათამაძე |